პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 39 (2031) 5 ოქტომბერი, პარასკევი, 1984 წ. ფასი 2 კაპ.

# В ПАРТИЙНОМ КОМИТЕТЕ МИНИСТЕРСТВА

На днях состоялось заседание партийного комитета МВД Грузинской ССР, на котором были рассмотрены вопросы о начале нового 1984—1985 учебного года в системе политической учебы сотрудников центрального аппарата МВД ГССР, о работе служб МВД ГССР по своевременному и качественному выполнению контрольных заданий и мерах по ее улучшению в соответствии с требованиями постановления ЦК КПСС «О дальнейшем совершенствовании контроля и проверки исполнения в свете решений XXVI съезда КПСС», заслушивания отчетов и сообщений коммунистов в первичных партийных организациях МВД ГССР.

На заседании парткома было отмечено, что новый учебный год в системе политической учебы имеет свои особенности, вытекающие из решений февральского и апрельского (1984 г.) Пленумов ЦК КПСС, указаний и выводов, содержащихся в выступлениях товарища К. У. Черненко.

Учебный год будет проходить в период, когда наша страна собирается отмечать 40-летие Победы советского народа в Великой Отечественной войне.

Главный акцент на занятиях во всех звеньях должен быть сделан на вопросах всестороннего раскрытия важнейших закономерных и движущих сил нашего общества, показа руководящей роли партии, всемирно-исторического значения победы советского народа, разъяснения миролюбивой внешней политики КПСС и советского государства.

Во всех первичных парторганизациях министерства во исполнение решения партийного комитета «Об организационных и политических мероприятиях по проведению итоговых занятий» проведены открытые партийные собрания по итогам минувшего учебного года. В большинстве парторганизаций на собраниях были глубоко проанализированы качество учебы слушателей, опыт пропагандистов, вскрыты имеющиеся недостатки и определены конкретные меры по их устранению в новом учебном году.

Партийный комитет считает, что проведенные в подготовительном периоде мероприятия по подготовке к началу нового учебного года должны благотворно повлиять на качество политического образования в течении всего настоящего учебного года.

Партийный комитет отмечает, что службы и подразделения министерства уделяют постоянное внимание состоянию исполнительской дисциплины, качественному и своевременному исполнению конкретных заданий, жалоб и заявлений граждан в соответствии с требованиями постановления ЦК КПСС «О дальнейшем совершенствовании контроля и проверки исполнения в свете решений XXVI съезда КПСС».

Вместе с тем, в ряде служб министерства исполнительская дисциплина находится на низком уровне.

Наибольшее количество неисполненных заданий числится за УИТУ (начальник Ходжава Г. В., секретарь парторганизации Челидзе О. А.,), УБХСС (начальник Вепхвадзе Д. Г., секретарь парторганизации Патарая Г. Ф.,), УУР начальник Кавтарадзе Н. К., секретарь парторганизации Джанашия Д. П.,) Этими же службами допущен наибольший процент заданий, выполненных с нарушением контрольных сроков.

Партийный комитет МВД ГССР постановил: руководителям служб центрального аппарата и секретарям первичных партийных организаций министерства проанализировать состояние исполнительской дисциплины в службах и принять меры по улучшению контроля за качественным и своевременным исполнением контрольных заданий, жалоб и заявлений граждан, повысить ответственность исполнителей за качественное и своевременное выполнение заданий, заявлений и жалоб граждан. С этой целью ввести в практику обязательное заслушивание отчетов начальников отделов и отделений на партийных собраниях.

На заседании партийного комитета было отмечено, что в целом первичные партийные организации центрального аппарата министерства, в числе других форм внутрипартийной работы, активно используют отчеты и сообщения коммунистов о выполнении ими уставных требований и о работе на порученном участке, добиваются более высоких результатов в выполнении каждым коммунистом своего партийного и служебного долга.

В ряде парторганизаций улучшилось качество подготовки и проведения заседаний партбюро и партсобраний по заслушиванию сообщений и отчетов коммунистов.

За последнее время шире стали использоваться сообщения кандидатов в члены партии о прохождении ими кандидатского стажа, а также заслушивания коммунистов, имеющих партийные взыскания.

Вместе с тем, наряду с относительным сдвигом в лучшую сторону, в постановке практической деятельности парторганизаций в деле заслушивания коммунистов допускается ряд характерных упущений.

На заседании парткома были рассмотрены также организационные вопросы.

# შეხვედრა მაღაროელებთან

ონის რაიონის ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოს სააქტო დარბაზში გაიმართა ღია პარტიული კრება, რომელმაც მოისმინა და გააანალიზა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების თაობაზე.

ხალხმრავალ კრებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კპ ონის რაიკომის ინსტრუქტორი ნ. ჩიკვილაძე, საუბნო საავადმყოფოს ექიმი ლ. ნანოიანი, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე შ. გავაშელიშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექტორი დ. გოგობერიშვილი, სატვირთო-საბაგირო გზის ზეინკალი, სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი შ. ორდინიძე და სხვები.

კრებაზე იგრძნობოდა პრობლემისადმი სალი და მოქალაქეობრივი მიდგომა, გამომსვლელთა სიტყვას გულგრილი არ დაუტოვებია არცერთი შეკრებილთაგანი.

კრებაზე გამოითქვა წინადადებანი ავტოსაგზაო შემთხვევათა შემცირების მიზნით.

ღია პარტიულ კრებას ჩორდის ბარიტის მაღაროთა სამმართველოში დაესწრო და ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა გ. გვეტაძემ, რომელმაც ხაზი გაუსვა საქართველოს კპ ონის რაისაბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილებისადმი პარტიულ დახმარებას და თანადგომას. მან ღრმად და საფუძვლიანად ისაუბრა მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემატურ საკითხებზე, ავტო-საგზაო შემთხვევის წარმომშობ მიზეზებზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მათი შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით უნდა გატარდეს. აღინიშნა, რომ გათვალისწინებული იქნება მშრომელთა აქ გამოთქმული სურვილები და მათი შესწავლის შედეგად დადებითად გადაწყდება წინადადებათა უმრავლესობა.

კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ონის რაიკომის პირველი მდივანი კ. ბაქრაძე და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსი გ. ბიჭაშვილი.

ჯ. ბროლაშვილი,
მილიციის მაიორი

# საბჭოთა კოსმონავტიკის თვალსაჩინო მიღწევა

## დამთავრდა ყველაზე ხანგრძლივი 237 დღე-ღამის პილოტირებული ფრენა

„სალუტ-7“ — „სოიუზ ტ-11“ ორბიტულ კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების პროგრამის შესაბამისად კოსმონავტები ლეონიდე დენისის ძე კიზიმი, ვლადიმერ ალექსის ძე სოლოვიოვი და ოლეგ იურის ძე ატკოვი დედამიწაზე დაბრუნდნენ. 1982 წლის 19 აპრილს დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გაყვანილი „სალუტ-7“ სადგური განაგრძობს ფრენას ავტომატური რეჟიმით.

პილოტირებული ფრენის ისტორიაში პირველად ღია კოსმოსურ სივრცეში მუშაობდა კოსმონავტი ქალი.

მსოფლიო პრაქტიკაში პირველად ერთი ფრენის მანძილზე კოსმონავტები ლეონიდე კიზიმი და ვლადიმერ სოლოვიოვი ექვსჯერ გავიდნენ ღია კოსმოსში, დაჰყვეს იქ სულ 22 საათი და 50 წუთი და შეასრულეს რთული და მრავალეტაპიანი სამუშაოები.

237 დღე-ღამის ფრენის დროს „სალუტ-7“ სადგურის ძირითადმა ეკიპაჟმა შეასრულა დიდი მოცულობის მეცნიერულ-ტექნიკური, სამედიცინო-ბიოლოგიური გამოკვლევები და ექსპერიმენტები.

კოსმოსში ახალი თვალსაჩინო მიღწევა ღირსეული საჩუქარია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 40 წლისთავისათვის.

# გამარჯვება ბამზე

დადგა სანატრელი და სასიხარულო წუთი: ჩიტის ოლქის ჩრდილოეთით დაიგო ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის უკანასკნელი „ოქროს“ რგოლი, — ნათქვამია გაზეთ „პრავდის“ 2 ოქტომბრის მოწინავე სტატიაში „გამარჯვება ბამზე“. ეს არა მარტო ბამელთა მრავალათასიანი კოლექტივის, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის დიდი გამარჯვებაა, ეს ხომ მართლაც საყოველთაო-სახალხო მშენებლობაა.

ათი წლის მანძილზე, იმ დაუვიწყარი დროიდან, როცა ბამის ახალგაზრდა მშენებელთა პირველი ეშელონი — ალკკ XVII ყრილობის წარგზავნილები ჩავიდნენ, უზარმაზარი მოცულობის სამუშაოები შესრულდა. იმისათვის, რომ ფეხდაუდგმელი ტაიგის გავლით ოკეანისაკენ მეორე გზა დაეგოთ, საჭირო იყო ასმილიონობით კუბური მეტრი მიწის გადაადგილება, 3.500 კილომეტრზე მეტი ლიანდაგის გაყვანა. მთებში ათობით კილომეტრი გვირაბების გაჭრა, მრავალი ხიდისა და სხვა საინჟინრო ნაგებობის, საცხოვრებელი დაბების, სადგურების აშენება.

ბამის მშენებლებმა პირობა დადეს, ვადამდე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 67 წლისთავისათვის დაემთავრებინათ მთავარი რკინიგზის დაგება და ერთი წლით ადრე გაეხსნათ მოძრაობა მთელ მაგისტრალზე. ვალდებულება გადაჭარბებით შესრულდა და ეს ბამელთა ერთ-ერთი შესანიშნავი ტრადიციაა. ჯერ კიდევ 1975 წლის სექტემბერში გაიარეს მატარებლებმა ციმბირის უდიდეს მდინარეებზე — ლენასა და ამურზე აგებულ პირველ ხიდებზე. ნავარაუდევი სამი წლის ნაცვლად მშენებლებმა წელიწადნახევარში შეაერთეს ამ მდინარეთა ნაპირები.

# წესრიგს ახალგაზრდები იცავენ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოცკანონიერების განმტკიცების XV რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური გრძელდება. 30 სექტემბერს დამთავრდა კომკავშირული ორთვიურის მეორე ეტაპი. იგი ითვალისწინებდა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ამ ეტაპზე სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოხვედრილ პირთა მიმართ მკაცრად და მიზანმიმართულად იმსჯელეს. მათ მიერ ჩადენილი ულირსი საქციელის გამო, რეგულარულად ეწყობოდა რეიდები და სხვა ღონისძიებები ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ლოთების გამოსავლენად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ეტაპზე დიდი ყურადღება მიექცა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში სპირტიანი და ალკოჰოლური სასმელების გაყიდვის წესების დაცვას.

საგარეჯოს კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივანი თ. კერატიშვილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოც. კანონიერების განმტკიცების ორთვიურის რაიონულ შტაბს ხელმძღვანელობს.

საგარეჯოს კომკავშირის რაიონული კომიტეტი შინაგან საქმეთა განყოფილებასთან ერთად სისტემატიურად ატარებდა რეიდებს რაიონის ტერიტორიაზე, ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ბახუსის მოყვარულთა გამოსავლენად.

ფოტოსურათს, რომელსაც დღევანდელ ნომერში გთავაზობთ ერთი ასეთი რეიდია აღბეჭდილი.

საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, მილიციის სერჟანტმა ა. ბიწკინაშვილმა კომკავშირის კომიტეტის მეორე მდივან თ. კერატიშვილთან და სახალხო რაზმელებთან ერთად რეიდის დროს გამოავლინეს უსაქმურები, რომლებიც სამუშაო საათებში რესტორანში დროს უქმად კარგავდნენ.



ფოტო ა. გოგოლაძისა

პარტიული ცხოვრება

# ანგარიშგება-არჩევნების შესახვედრად

შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში დადგა საპასუხისმგებლო პერიოდი — ანგარიშგება-არჩევნების კამპანია, რომელიც მიმდინარე წლის 10 და 12 — ოქტომბერს გაიმართება.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, ამჟამინდელი ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ იგი ტარდება მე-XI ხუთწლედის საგანგებო საპასუხისმგებლო მიჯნაზე, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს სკკპ XXVII წინასაყრილობო მზადების ეტაპი.

ეს უმნიშვნელოვანესი პარტიულ-პოლიტიკური ღონისძიება ჭეშმარიტად წარმოადგენს შინაგან საქმეთა განყოფილების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის დათვალიერებას, კომუნისტებისა და კომკავშირელების ავანგარდული როლის ამაღლებისა და მთელი პირადი შემადგენლობის მობილიზების ღონისძიებას დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40-ე წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

საქართველოს კპ და ალკკ ტყიბულის საქალაქო კომიტეტების პრაქტიკული დახმარებით სათანადო ყურადღება დაეთმო განყოფილების პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების სტრუქტურის დახვეწას. პარტიული და კომკავშირული ზეგავლენის გაძლიერების მიზნით შეიქმნა პარტიული და კომკავშირული ჯგუფები განყოფილების ისეთ სამსახურებში როგორიცაა: სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილება, სახელმწიფო ავტოინსპექცია, გამოძიება და მოკვლევის სამსახური, უბნის ინსპექტორთა ჯგუფი, სამორიგეო ნაწილი და საპატრულო-საგუშაგო სამსახური.

პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნების საანგარიშო მოხსენებებში სათანადო ყურადღება დაეთმობა მუშაობის სტილის ფორმირებისა და მეთოდების ანალიზს. მრავალმხრივ და ღრმა შეფასებას საჭიროებს განყოფილების საქმიანობაში კომუნისტთა და კომკავშირელთა როლისა და ზეგავლენის ამაღლების საკითხები. ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი საკითხები.

ყველაზე პრინციპული შეფასება მიეცემა მათ საქმიანობას, ვინც უხეშად დაარღვია საშემსრულებლო დისციპლინა, დაკისრებულ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისადმი ზერელე და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შემთხვევები და ა. შ. მკაცრი მსჯელობის საგანი გახდება იმ სამსახურების უფროსთა საქმიანობა, რომლებიც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და არ ეწევიან აღმზრდელობით მუშაობას ახალგაზრდა კადრებთან.

ამჟამად ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის მაღალორგანიზებულ დონეზე ჩატარებასთან ერთად ჩვენს წინაშე დგას სერიოზული ამოცანა — ავამაღლოთ პირადი შემადგენლობის მარქსისტულ-ლენინური მომზადების დონე და პოლიტიკური სწავლების ქმედითობა.

სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში უკვე დაიწყო, ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეული სკკპ წევრი ღრმად დაეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მუდამ იქნება მასების შუაგულში, ბოლშევიკური მგზნებარებით განმარტავს პარტიის პოლიტიკას, იქნება სიტყვისა და საქმის ერთიანობის მაგალითი.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ნათელი ორიენტირია სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის უახლოესი პლენუმების დებულებები და დასკვნები, რაც სადღეისო გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული საბოლოო შედეგებია.

სწორედ ამიტომ მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობის სრულყოფას, პირადი შემადგენლობის საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლებას, რათა საქმით ვუპასუხოთ პარტიის მოწოდებას დასახულ ამოცანათა წარმატებით გადასაჭრელად.

ბ. აბულაძე

**შინაგან საქმეთა ტყიბულის საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში, მილიციის მაიორი.**

# ОБРАЩЕНИЕ

**СОБРАНИЯ ПАРТИЙНОГО АКТИВА РАБОТНИКОВ ВНЕВЕДОМСТВЕННОЙ ОХРАНЫ МВД ГССР КО ВСЕМУ ЛИЧНОМУ СОСТАВУ.**

Постановление вышестоящих органов о проводимой УВО МВД ГССР работе по обеспечению надежной сохранности социалистической собственности и усилению борьбы с кражами в республике является важным документом, определяющим задачи и программные цели службы вневедомственной охраны по изысканию и практической реализации наиболее эффективных путей ее дальнейшего развития, способствующим росту ее значения и авторитета, более тесному и плодотворному сотрудничеству с партийными и советскими органами, министерствами и ведомствами, увеличению ее вклада в борьбу с преступностью и охрану общественного порядка.

В указанном постановлении дана принципиальная оценка деятельности подразделений вневедомственной охраны, отмечено, что проводимая ими работа по обеспечению сохранности социалистической собственности и усилению борьбы с кражами, укреплению дисциплины и соцзаконности среди личного состава недостаточна. Она не отвечает задачам, выдвинутым партией и правительством в деле усиления борьбы с хищениями собственности, взяточничеством, спекуляцией.

Исходя из требований постановления вышестоящих органов, собрание партийного актива работников вневедомственной охраны МВД ГССР обращается к подведомственным ему продразделениям, горрайорганам внутренних дел:

— решительно улучшить организаторскую деятельность, повысить степень влияния на каждое подразделение охраны, постоянно совершенствовать формы и методы работы по обеспечению надежной сохранности социалистической собственности;

— активизировать работу по укреплению дисциплины, соцзаконности в борьбе с негативными явлениями, крохоборством, вымогательством;

— принять меры по совершенствованию подбора, расстановки, воспитанию и обучению кадров вневедомственной охраны, решительно очищаться от случайных, незаслуживающих доверия сотрудников;

— при помощи и поддержке партийных и советских органов, политического отдела МВД ГССР, постоянно повышать роль заместителей начальников горрайорганов внутренних дел по политчасти, первичных партийных организаций ОВО в решении задач охраны государственного и общественного имущества, усиления борьбы с кражами, а также в работе по наведению должного порядка в подразделениях вневедомственной охраны, осуществлению мер, направленных на укрепление морально-политического климата в коллективах ОВО;

— улучшить работу по совершенствованию охраны объектов народного хозяйства, жилых и других помещений граждан, повышения ее надежности, снижения материальных затрат за счет внедрения передовых методов и новейших технических средств охраны;

Мы, участники собрания партийного актива работников вневедомственной охраны МВД ГССР, обращаемся к многотысячному коллективу этой службы с призывом мобилизовать все свои силы, опыт и энергию с тем, чтобы устранить серьезные недостатки и с честью выполнить требование партии и правительства об обеспечении надежной сохранности соцсобственности на охраняемых объектах народного хозяйства.

Мы, заверяем Центральный Комитет Коммунистической партии Грузии, правительство республики и руководство МВД ГССР, что коммунисты, комсомольцы, весь личный состав подразделений вневедомственной охраны приложит максимум усилий для обеспечения выполнения требований постановления вышестоящих органов.

**ОБРАЩЕНИЕ ПРИНЯТО НА СОБРАНИИ ПАРТИЙНОГО АКТИВА РАБОТНИКОВ ВНЕВЕДОМСТВЕННОЙ ОХРАНЫ.**

РАССКАЗЫВАЮТ РУКОВОДИТЕЛИ ПОДРАЗДЕЛЕНИЙ

# ПОЛОЖЕНИЕ УЛУЧШИЛОСЬ

**На страницах нашей газеты мы открываем новую рубрику «Рассказывают руководители подразделений».**

**Под этой рубрикой систематически будем публиковать отчеты начальников городских и районных отделов внутренних дел республики об оперативной обстановке в районе, о мерах по дальнейшему улучшению оперативно-служебной деятельности.**

**Сегодня у нас в гостях начальник Ахалкалакского РОВД подполковник милиции Р. Сафаров.**

— Коллектив Ахалкалакского РОВД за восемь месяцев этого года добился значительных успехов в борьбе с преступностью. Анализ оперативной обстановки показывает, что по сравнению с аналогичным периодом прошлого года наблюдается улучшение оперативно-служебной деятельности.

Несколько сократилось количество преступлений по линии уголовного розыска. Раскрываемость здесь стопроцентная.

16 марта житель села Гумбурдо З. путем представления подложных документов незаконно получил в качестве пособия из Ахалкалакского РОНО 564 рубля. В апреле жительница села Дилиска. М., работающая медсестрой в райбольнице, в 1981-82 г.г. представила подложные документы и получила незаконное пособие в сумме 456 рублей. В марте в городе Ахалкалаки из автомашины в десять часов вечера несовершеннолетние учащиеся школы № 4 Вартан К. и Сейран А. сняли магнитофон японского производства марки «Океан». Были совершены и другие подобные преступления.

Таким образом, в первом полугодии этого года были допущены такие опасные преступления, как хищения государственного имущества путем мошенничества и кражи личного имущества граждан.

Принимаются дополнительные профилактические меры, меры воспитательного характера, чтобы в дальнейшем не допустить ни одного факта правонарушений со стороны несовершеннолетних.

По линии БХСС по сравнению с аналогичным периодом прошлого года существенных изменений не произошло. Были выявлены такие факты преступлений, как хищения социалистической собственности, обман покупателей, спекуляция, злоупотребление служебным положением.

Работниками вневедомственной охраны за восемь месяцев был выявлен ряд фактов мелких хищений (за тот же период прошлого года — ни одного).

В последнее время улучшился морально-психологический климат в нашем коллективе. На итоговом занятии личный состав показал хорошие знания по политподготовке. Более активно стали проводиться спортивно-оздоровительные и культурно-массовые мероприятия. Улучшается состояние индивидуально-воспитательной работы с личным составом.

Однако в деятельности РОВД имеется и ряд недостатков. На их скорейшее устранение сегодня направлены все усилия руководства, партийной и общественных организаций.

მოდის ახალი ცვლა

# ვფიცავთ-ამბობენ მილიციის მომავალი მუშაკები

მიმდინარე წლის 29 სექტემბერი არასოდეს დაავიწყდებათ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის დაუსწრებელი განყოფილების თბილისის ფაკულტეტის პირველკურსელებს. მათ ხომ ამ დღეს საზეიმო ვითარებაში მიიღეს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა ფიცი. ამიერიდან მომავალმა ჩეკისტებმა პირველი ნაბიჯი გადადგეს ამ მეტად რთულ და საპატიო პროფესიის ძნელად სავალ, მაგრამ უაღრესად საინტერესო გზაზე. პასუხისმგებლობა ერთობ დიდია — მათ იციან ეს და ამიტომაც სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას და მთავრობას ალალი ფიცით აღუთქვეს ერთგული სამსახური — დაიცვან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, მტკიცედ იდგნენ მართლწესრიგისა და მართლმსაჯულების სადარაჯოზე.



ეს დღე პირველკურსელებს მიულოცეს და გზა დაულოცეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსმა, შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკმა ო. ქოჩლაძემ, საქართველოს კომპარტიის გლდანის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ხიზანიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, თადარიგის გენერალ-ლეიტენანტმა ი. ჟორჟაძემ.

ფიცის მიღების ცერემონიალს დაესწრო საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი გ. სერიოდკინი.

საზეიმო დღის დასასრულს პირველკურსელებმა გვირგვინით შეამკეს ფ. ე. ძერჟინსკის ძეგლი.

ა. კუპატაძე,



ფოტოები ო. ვარდანაშვილის.



# პრობლემა — მოითხოვს გადაჭრას

**გორის რაიონში ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა სტატისტიკა დამაფიქრებელია. წელს რაიონის ტერიტორიაზე ავტოინსპექციის მუშაკებმა 88 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა აღრიცხეს, რის შედეგად დაიღუპა 21 და დასახიჩრდა 40 კაცი. სახელმწიფო ავტომანქანების მძღოლებმა 8 ავტოავარია მოახდინეს. მათი დაუდევრობით დაიღუპა 5 და დაშავდა 9 კაცი. მოყვარული მძღოლების მიზეზით კი 30 ავტოსაგზაო შემთხვევაა აღრიცხული. მთვრალი მძღოლების გამო — 6 ავტო-ავარია მოხდა. სწორედ მათი მიზეზით გარდაიცვალა 16 და დასახიჩრდა 31 ადამიანი. გორის რაიონში წელს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევათა გამოვლინება გაიზარდა 519 ერთეულით. აქედან მთვრალი მძღოლების რიცხვმა 75 ერთეულით იმატა. როგორც ვხედავთ, სურათი არასახარბიელოა...**

**ჩვენმა კორესპონდენტმა ორად ორი კითხვით მიმართა გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილეს ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორ გ. ძაგნიძეს და სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების უფროსს, მილიციის უფროს ლეიტენანტ თ. მოგელაშვილს:**
**1. რით არის გამოწვეული, რომ გორის რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი გაიზარდა; 2. რა კონკრეტული ღონისძიებანი შეიმუშავეთ ავტოსაგზაო შემთხვევათა შესამცირებლად?**

**გ. ძაგნიძე.** გორის რაიონში წელს, გასულ წელთან შედარებით, ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვმა იმატა. უმიზეზოდ არაფერი ხდება. ჩვენი რაიონის ავტოსაგზაო შემთხვევათა ერთობ დამაფიქრებელი სტატისტიკა განაპირობა სხვადასხვა ობიექტურ და სუბიექტურ მიზეზთა ერთობლიობამ.

დავიწყოთ იმით, რომ ყოველდღიურად იზრდება ავტოტრანსპორტის რიცხვი, გზების სავალი ნაწილის სიგანე კი უცვლელი დარჩა. რაიონის გზები შესაკეთებელია და ამასთანავე **არ არის აღჭურვილი საჭირო საგზაო ნიშნებით. რაც არის ისიც დღეისათვის მოძველებულია და შეცვლას მოითხოვს. გზის სავალ ნაწილზე არ არის გავლებული ღერძული ხაზები.** მაგალითისათვის დავასახელებ 32 კილომეტრიან მონაკვეთს გორიდან ცხინვალამდე, რომელსაც ემსახურება ცხინვალის № 4 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი და რომელსაც დღემდე არავითარი ძირითადი სამუშაოები არ ჩაუტარებია. გზები ღამის საათებში გაუნათებელია. მკვეთრი მოსახვევების რიცხვიც ერთობ დიდია. სოფლებში გამავალ საავტომობილო გზებზე ფეხით მოსიარულეთათვის არ არის მოწყობილი ბილიკები.

პრობლემატურია ტგ-200 მარკის სატვირთო მოტოროლერების საკითხიც. ამ მარკის სატვირთო მოტოროლერები თავდაპირველად გამოშვებული იქნა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, მაგრამ რადგანაც არ მოხერხდა მათი რეალიზაცია, ისინი გაიყიდა კერძო პირებზე. **ბევრს დღემდე გაუფორმებელი ჰყავს შეძენილი მოტოროლერები და ზოგიც მართვის მოწმობის გარეშე** იყენებს მათ. მიუხედავად მრავალგზის გაფრთხილებისა, არა გვაქვს საშუალება საჯარიმო მოედანზე მათი დაყენებისა. არადა, მათი მიზეზით ხშირია ავტოსაგზაო შემთხვევები. დღეისათვის რაიონში ამ მარკის სამი ათასამდე სატვირთო მოტოროლერია.

მეტი მოეთხოვება ჩვენი რაიონის საგზაო ზედამხედველობის სამსახურს. როცა ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვი მატულობს, პირდაპირპროპორციულად უნდა გაიზარდოს საგზაო მოძრაობის წესების დამრღვევი უდისციპლინო მძღოლების გამოვლენათა რიცხვიც. ამ თვალსაზრისით, ყოველდღიურ გამოვლინებათა საშუალო მაჩვენებელი — 4, საკმარისი არაა, ამიტომ იყო, რომ პარტიის გორის რაიონულმა კომიტეტმა ბიუროს სხდომაზე საგანგებო მსჯელობის საგნად აქცია შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილების მუშაობა. მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის სამსახურიდან განთავისუფლდა საგზაო ზედამხედველი, რიგითი ა. ციცაგი. საყვედური გამოეცხადათ კომუნისტებს: ქვეგანყოფილების უფროსს, მილიციის უფროს ლეიტენანტს თ. მოგელაშვილს, უფროს სახელმწიფო ავტოინსპექტორს, მილიციის ლეიტენანტს გ. თუშიშვილს, საგზაო ზედამხედველებს, რიგითებს: გ. ბექაიშვილს და მ. რონიშვილს.

აქვე შევნიშნავთ, რომ რაიონის სახელმწიფო ავტოინსპექციის ქვეგანყოფილება მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ იყენებს თანამედროვე ტექნიკას, როგორიც არის სიჩქარის მზომი რადარები.

რაიონის საგზაო ზედამხედველობის სამსახურს სუსტად ეხმარებიან სხვა სამსახურებიც.

აი, ჩემის აზრით, მოკლედ ის მიზეზები, რამაც განაპირობა რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევათა რიცხვის გაზრდა. დანარჩენს, ალბათ, ამხ. თ. მოგელაშვილი შეავსებს.

**თ. მოგელაშვილი.** ჩემის აზრით, ავტოსაგზაო შემთხვევების გაზრდა, გარდა იმ რიგი მიზეზებისა, რაც ამხ. გ. ძაგნიძემ მოგახსენათ, უპირველესად გამოწვეულია ავტომოყვარულების **მართვის ოსტატობის დაბალი დონით და უდისციპლინობით.** ბევრი ავტომოყვარული უმიზნოდ დააქროლებს თავის ავტომობილს სამუშაო საათებში და ისედაც გადატვირთულ გზებს კიდევ უფრო ტვირთავს. არადა, ავტოსაგზაო შემთხვევათა უმეტესობა ხომ მათ წილად მოდის.

ზოგიერთი ხელმძღვანელი დაუდევრობას იჩენს და იმ მარკის ავტომანქანების საჭეს ანდობს მძღოლებს, რომელთაც არა აქვთ მართვის მოწმობაში შესაბამისი კატეგორია. ზოგიერთი წარმოება — დაწესებულების ხელმძღვანელი კი გულგრილობას იჩენს პროკურატურისა და ში ორგანოების წარდგინებაზე იმ მძღოლების მიმართ, რომლებმაც ავტოსაგზაო შემთხვევები მოახდინეს. მათ საქციელზე კოლექტივებში არ მსჯელობენ, უფრო მეტიც, მიღებულ ზომებზე პასუხსაც არ გვიბრუნებენ. ჩვენ კი კარგად გვესმის, რომ საერთო საქმის სასიკეთოდ არც ერთი წარდგინება არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

**ჯერ კიდევ გრძელდება ავტოპარკებიდან ტექნიკურად გაუმართავი ავტომანქანების გასვლა.**

**ზოგიერთ საწარმოში ნაკლები ყურადღება ექცევა მოძრაობის წესების შესწავლასა და მის აგიტაცია-პროპაგანდას. ადგილებზე ამ ხაზით თვალსაჩინოებაც ნაკლებია.**

**ზოგიერთ დიდ ავტოსატრანსპორტო საწარმოში ჯერ კიდევ არ არის დანერგილი პარკიდან მძღოლების გასვლის სათანადო სამედიცინო შემოწმება.** მაგალითისათვის დავასახელებდი ტრესტ მტკვარწყალმშენის ავტოსატრანსპორტო საწარმოსა და საქსოფლწარმოების № 9 ასს.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ თანამედროვე ტექნიკას, როგორიც არის სიჩქარის მზომი რადარები, მართლაც გვიჭირს. ამ **ტექნიკის უქონლობას დიდი დრო და ენერგია მიაქვს დამნაშავე მძღოლების საგზაო მოძრაობის წესების დარღვევათა მხილებაში.** ეს ტექნიკა რომ გვქონდეს, ყოველდღიურ გამოვლინებათა საშუალო რიცხვი — 4 კი არა, — მეტი გვექნებოდა. თუმცა, ეს როდი ნიშნავს იმას, თითქოს თავს ვიმართლებდეთ. პირიქით მეტი მოგვეთხოვება. ჩვენმა სამსახურმა კიდევ უფრო უნდა სრულყოს მუშაობის თანამედროვე ფორმები და ქვეგანყოფილების თითოეულმა წევრმა მეტი პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს.

**გ. ძაგნიძე.** რაც შეეხება მეორე კითხვას, — რაიონში ავტოსაგზაო შემთხვევათა შესამცირებლად თუ რა კონკრეტული ღონისძიებები შევიმუშავეთ, შემდეგს მოგახსენებთ: ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ამას წინათ საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის ბიურომ მიიღო დადგენილება — 6 სექტემბრიდან — 6 ნოემბრამდე ავტოსაგზაო შემთხვევების უსაფრთხოების ორთვიურის მოწყობის შესახებ. [illegible] კომკავშირული აქტივისტები, ომისა და შრომის ვეტერანები, სახალხო რაზმელები. ავტოსაგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ორთვიურის მომწყობი ბრიგადები ყოველდღიურად მოქმედებენ და სისტემატიურად ავლენენ საავტომობილო ტრანსპორტზე დაშვებულ დარღვევა-დამახინჯებებსა და დანაშაულებრივ ფაქტებს. უსაფრთხოების ორთვიურის პირველივე დღეებმა გამოავლინა მრავალი დარღვევა-დამახინჯებანი, რომელთა შესახებ კონკრეტული ღონისძიებანი განხორციელდა, ეცნობა ხელმძღვანელობას და გატარდა სხვა ქმედითი ზომები.

გარდა ამისა, გორის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებამ შეიმუშავა სპეციალური გეგმა დამატებითი რეიდების მოწყობის შესახებ. მასში მონაწილეობს განყოფილების თითქმის ყველა სამსახური. გამოვლენილ მოძრაობის წესების დამრღვევი მძღოლების მიმართ მიღებულ ზომებზე პერიოდულად ეძლევა და კვლავ მიეცემა მასალები გამოსაქვეყნებლად რაიონული გაზეთის „გამარჯვების" რედაქციას. ჩვენს მიერ დასახული გეგმის ქმედითობა მალე საჩინო გახდება.

**თ. მოგელაშვილი.** იმ ღონისძიებათა ციკლში, რაც ამხ. გ. ძაგნიძემ მოგახსენათ, ჩართულია აგრეთვე ლექცია-საუბრები მოძრაობის უსაფრთხოებაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ავტოფარეხებში და საშუალო სკოლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოგვიწოდა, რომ დადგა დრო გამოვაცხადოთ საყოველთაო სახალხო ლაშქრობა ქუჩებში და გზებზე სანიმუშო წესრიგის დასამყარებლად.

გორის რაიონში საავტომობილო ტრანსპორტზე დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცება ჩვენი ქვეგანყოფილების უპირველესი მოთხოვნილება და მოვალეობაა, სისხლხორცეული საქმეა. ამიტომ, დასახულ ღონისძიებებში უმთავრესია თითოეული ჩვენთაგანის მაქსიმალური ენერგიის გაღება, პროფესიონალიზმის სრულყოფა და გამოვლენა, პასუხისმგებლობის გულთან მიტანა. ჩვენ გვჯერა, რომ შემართებას, მეტ მონდომებას, ერთსულოვნებას წინ ვერა დაუდგება რა და აქედან გამომდინარე სასიკეთო შედეგიც არ დააყოვნებს. მით უფრო, რომ საქართველოს კომპარტიის გორის რაიონული კომიტეტი ყველაფერს აკეთებს ჩვენი ავტორიტეტის ასამაღლებლად.

**საუბარი ჩაიწერა**

ბ. ჩადუნელმა.

# ПРИШЛО В МИЛИЦИЮ ПИСЬМО...

Каждый день в органы и подразделения внутренних дел республики приходит немало писем. Пишут люди о разном. Но о чем бы ни шла речь, их письма имеют общественное значение — в них предложения, замечания, просьбы трудящихся, осуществляющих свое конституционное право. Это — доверительный и ценный источник информации, помогающий лучше ориентироваться в обстановке, яснее видеть недостатки и пути их устранения, принимать правильные решения.

В нашей стране выработан четкий порядок рассмотрения заявлений, предложений и жалоб граждан. Определен такой порядок и в органах внутренних дел. И хотя уровень работы с письмами трудящихся в последнее время заметно возрос ее эффективность может и должна быть выше. Тов. К. У. Черненко отмечал: «...Всегда необходимы чуткое отношение к предложениям и критическим замечаниям трудящихся, нетерпимость к любым видам зажима критики».

Вот об этой непреложной истине забывают некоторые сотрудники органов и подразделений внутренних дел, ибо все еще продолжают встречаться на практике случаи невнимательного, формального подхода к заявлениям и жалобам граждан, нежелание вникнуть в существо дела, волнующего человека, безответственное отношение к выполнению своих прямых служебных обязанностей.

Если спросить у участкового инспектора Сабурталинского РОВД г. Тбилиси капитана милиции Т. Маргишвили, оперуполномоченного ОУР лейтенанта милиции Г. Кавлашвили и инспекторов ИДН старшего лейтенанта милиции Р. Дудучава и лейтенанта милиции Г. Меликишвили о сроках рассмотрения жалоб и заявлений граждан, то они, можете не сомневаться, ответят правильно. Теория так и остается теорией — на бумаге и в их голове, — а вот на практике они делают совсем другое. Три раза предупреждало их руководство по поводу заволокиченных заявлений, три раза они (виновато выслушивали упреки в свой адрес, но предпочитали продолжать свою тактику. А вот руководство отдела не захотело больше мириться с таким безответственным отношением к исполнению служебных обязанностей со стороны своих сотрудников и за грубые нарушения по рассмотрению сроков заявлений объявило им строгий выговор. Наказание последовало вполне справедливое, но разве можно объяснить это тем людям, которые пришли в милицию за помощью, в надежде получить ее. А какое им до этого, собственно говоря, дело, объявили сотрудникам выговор или нет. Их просьбы так и остались просьбами.

Максимум «чуткости и внимания» к письмам граждан проявили участковый инспектор Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси И. Кочламазашвили, оперуполномоченные ОУР К. Басилашвили и З. Мосебгвдлишвили и, когда им объявили строгий выговор, они долго не могли взять в толк, за что же их так строго наказали.

— Подумаешь, не вовремя отреагировали на заявления граждан, — возмущаются они. — Не рассмотрели сегодня, рассмотрим завтра.

А вот бывают случаи, когда отложенное на завтра заявление приводит к трагедии.

...В Орджоникидзевский РОВД г. Тбилиси поступило заявление о семейном конфликте в семье Ч. Приемная дочь и мать находились в неприязненных отношениях. Дочь вела образ жизни, далекий от морали. На них было заведено профилактическое дело, но положительных результатов оно не дало. Дочь задушила мать, а затем инсценировала убийство.

Преступление было раскрыто, убийца понесла заслуженное наказание. Однако преступление можно было бы предотвратить, прояви участковый инспектор старший лейтенант милиции Т. Гвиниашвили чуточку больше внимания и чуткости.

Случаев нарушения сроков рассмотрения писем, жалоб и заявлений граждан можно встретить бесчисленное множество. Достаточно пойти в горрайорган внутренних дел и пересмотреть журнал учета входящих жалоб и заявлений и отметку об их исполнениях.

Из-за низкой исполнительской дисциплины и контроля со стороны руководителей органов на недостаточном организационном уровне ведется работа с письмами в органах внутренних дел Юго-Осетии, Горийском, Мцхетском, Карельском РОВД. Здесь все еще мало берется на контроль заявлений, в ряде случаев рассмотрение повторных жалоб поручается сотрудникам, которые некачественно исполнили первоначальное обращение тех же граждан.

Работа с письмами, заявлениями трудящихся — дело государственное, политическое. Уверенность людей в том, что любая их просьба, предложение, замечание будет услышано и приведет к улучшению дела — залог дальнейшего укрепления социалистической законности и общественного порядка. Об этом ни на минуту не должен забывать ни один сотрудник милиции.

А. СААКАДЗЕ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ვინ არის მეოთხე?“

## რეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან

**ბათუმში,** ტელმანის ქუჩაზე მდებარე აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობაში უჩვეულო გამოცოცხლებაა.

იუპიტერების მკვეთრ შუქს გაუჩახჩახებია მილიციის ლეიტენანტის სამუშაო ოთახი, სადაც მხატვრული ფილმის ერთ-ერთი ეპიზოდის გადასაღებად ემზადებიან გადამღები ჯგუფის წევრები.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გადამღებმა ჯგუფმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კინორეჟისორ ო. კობერიძის მეთაურობით აჭარის ამ ლამაზ კუთხეში დაიდო ბინა — აქ კინოდრამატურგ გია ბადრიძის სცენარის მიხედვით იღებენ ახალ მხატვრულ ფილმს „ვინ არის მეოთხე?“.

ამ ახალი მხატვრული ფილმის სიუჟეტური ქარგა მოგვითხრობს ბანდიტების ბნელ საქმიანობაზე და მათ წინააღმდეგ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა ვაჟკაცურ, თავდაუზოგავ ბრძოლაზე, მათ სიმამაცესა და საზრიანობაზე.

აქ არის მანქანის გატაცებაც, საიუველირო მაღაზიის გაძარცვაც, დამნაშავის დევნაც. ერთი სიტყვით ფილმში დიდი ყურადღება ეთმობა ამ ორგანოების პროფილაქტიკური მუშაობის ჩვენებას.

ფილმი მძაფრსიუჟეტიანი მომენტებით აღსავსე ფსიქოლოგიური დეტექტივია.

...მიმდინარეობს ბანდის წევრების დაკითხვის ეპიზოდის გადაღება. გამომძიებლის კაბინეტში ზის დანაშაულში ეჭვმიტანილი კარპენკო, შემოჰყავთ მეორე ეჭვმიტანილიც — „სავკა“ ფილმის დამდგმელი ოპერატორი ჯ. ქრისტესიაშვილი მალიმალ ჩაჰყურებს აპარატს — საჭიროა სრულყოფილად გადმოიცეს მსახიობთა განცდები და ამიტომ ოპერატორის ალღოსა და უნარზე ბევრად არის დამოკიდებული მომავალი ფილმის ბედი.

გადაღება რამდენიმე წუთით წყდება, ფილმის მეორე რეჟისორი გ. სავანელი მთავარი როლის შემსრულებლებს ესაუბრება. მე ვსარგებლობ შემთხვევით და რამდენიმე კითხვით მივმართავ ფილმის დამდგმელ რეჟისორს ო. კობერიძეს.

— რით არის საინტერესო თქვენთვის, როგორც რეჟისორისათვის, ამ ჟანრის ფილმზე მუშაობა?

— დეტექტიური სათავგადასავლო ფილმი ყოველთვის საინტერესოა ეკრანიზაციისათვის; მძაფრი ფსიქოლოგიური მომენტები, სიტუაციური კონფლიქტები აინტერესებს მაყურებელს თუ იგი საინტერესოდ, დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები. მეორეც, მე ადრე გადავიღე ფილმი „გამსვლელი პაიკი“, რომელიც ასევე საგამომძიებლო ორგანოს მუშაკთა საქმიანობას ეხებოდა. ეტყობა, ჩემში ჯერ კიდევ არ დამცხრალა ინტერესი ამ ჟანრისადმი, რადგან კვლავ ამავე თემატიკას მოვკიდე ხელი. ძალიან მაინტერესებს და მხიბლავს სამძებრო ორგანოების მუშაკთა რთული, დაძაბული და საინტერესო საქმიანობა, რომელიც მათ ხშირად საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდებათ. საყოველთაოდ ცნობილია, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ბოროტების დროზე აღკვეთას და რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ორგანოს მუშაკებს საზოგადოების წინაშე.

— როგორ დაიბადა ფილმის იდეა?

— დრამატურგმა გია ბადრიძემ სცენარს საფუძვლად დაუდო საგამომძიებლო პრაქტიკაში მომხდარი ამბავი, და, რაღა თქმა უნდა, შესაფერისი მხტვრული სამურველით შემოსა იგი.

— გთხოვთ ორიოდე სიტყვას ფილმში წამყვან მსახიობზე.

— მთავარ როლს — მილიციის ლეიტენანტ ლევანს ანსახიერებს სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრის მსახიობი დიმიტრი ჯაიანი.

ფილმის კონსულტანტია აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯ. მიქელაძე.

...ვტოვებთ გადასაღებ მოედანს და მოგვყვება რწმენა, რომ მაყურებელს ელის შეხვედრა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კიდევ ერთ საინტერესო ნამუშევართან.

**ზ. თოფურია**



**სურათზე:** ფილმის ერთ-ერთი კადრი.

# წაგებული თამაში

**გრ. გვაძაბია.**

მანქანიდან ალექსი და გიორგი გადმოვიდნენ, პირდაპირ კაბინეტს მიაშურეს.

— დიახ, ჩემო გიორგი, — თქვა ალექსიმ, საქაღალდე გაშალა და სიტყვა გააგრძელა, — მთვარისა თანდათან ძალას იკრებს, მისი ჯანმრთელობა უმჯობესდება, ის უკვე კარგად არჩევს ნაცნობ სახეებს. გუშინწინ ვინახულე,

— საქმე იმაშია, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მთვარისას ორჯერ გამოუცვლია საცხოვრებელი ადგილი. რუსთავიდან იგი 197.. წელს ამოწერილა, 197.. წელს, სამი წლის შემდეგ ვორონეჟის ოლქის ქალაქ ვლადიმერ ვოლინსკიდან ჩამოსულა, სადაც დროებით ყოფილა ჩაწერილი. თუ რა საქმიანობას ეწეოდა იგი იქ, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თადარიგი უკვე დავიჭირეთ — სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელი ორ დღეში ვოლინსკში ჩავა და, ალბათ, რამდენიმე დღეში ზუსტი პასუხი გვექნება.

— საფოსტო განყოფილებიდან რაიმე პასუხი ხომ არ მიგიღიათ?

— სამწუხაროდ, არა!

— დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ ყველას გაუწყდა ახლო ნათესავი, მეგობარი, არავის არ აწუხებს მათი გახმაურებული საქმე, თუ შეგნებულად თავს იკავებენ? დალახვროს, დალახვროს ეშმაკმა!

— კიდევ ერთი ახალი ამბავი, ვიყავით შრომით-გამოსწორების კოლონიაში, ამოვსწიეთ ბაჩანა ბურდულის საბრალდებულო დასკვნა. გამოირკვა, რომ მთვარისას პირველი ქმარი ავადმყოფობით კი არ გარდაცვლილა, ბრმა შემთხვევის მსხვერპლი გამხდარა. აი ექსპერტიზას დასკვნა. სამედიცინო ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი იმ დღეს სამშენებლო ობიექტზე მორიგეობდა, უცებ მღებავი ხარაჩოდან ჩამოვარდნილა, გია მისაშველებლად გაქცეულა, მაგრამ სანამ ექიმი მეორე სართულამდე მიაღწევდა, ამწის ჩასაბმელს ბლოკის დატვირთული ყუთი მოწყდა და გია ქვეშ მოიყოლია... და გასრისა.

— მეამწე დასაჯეს, ალბათ.

— კი, როგორ არა, ბაჩანა ბურდულს, რომელმაც სასჯელის მოხდის შემდეგ ცნობილაძის მეუღლე მთვარისა ცოლად დაისვა, უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის სამი წლით გაუხანგრძლივეს სასჯელი.

— ბაჩანა ბურდულს? — გაიოცა გიორგიმ.

— სწორედ ბაჩანა ბურდულს.

— მდა!

— ექსპერტიზამ შეგნებულად შეცდომაში შეიყვანა გამოძიება. დააკვირდით ამ სურათს, — ალექსიმ საქაღალდიდან შემთხვევის ადგილზე გადაღებული სურათი ამოიღო, — უზარმაზარ ყუთს, რომელზედაც ჩვეულებრივად ბლოკსა და აგურს აწყობენ, ოთხივე მხარეს სპეციალური ჩასაბმელი აქვს, ისინი ჩამოკიდებულნი არიან ტროსებზე, თვითოეული მათგანის ტვირთამწეობა რამდენიმე ტონით განისაზღვრება. ტვირთი თავისუფლად შეგიძლია ყუთიანად დასდო მიწაზე ან სართულზე, შეიძლება აგრეთვე ერთი ტროსი ოდნავ დააგრძელო და ტვირთიც ერთ წუთში დაიცლება. ასე იქცევიან მეამწეები, როცა დროის მოგება სჭირდებათ.

ბაჩანამ ჩაიდინა წინასწარ განზრახული მკვლელობა, რასაც ადასტურებს ვამეხის ჩვენება, გახსოვს — „დანახვის დღიდანვე გულში ჩაუვარდაო მთვარისა“. დანაშაულის კვალი შეგნებულად დამალეს, მაგრამ ვერ წაშალეს.

— დაგვიანებული ხომ არ არის?

— რასაკვირველია, მკვდარს პასუხს არა სთხოვენ, მაგრამ ჩემის აზრით მკვლელობის ამბავი არ შეიძლება ვინმეს არ სცოდნოდა, თუნდაც გია ცნობილაძის უახლოეს ახლობელთაგანს. სწორედ ეს პიროვნება უნდა დავადგინოთ, რაშიც დახმარება თვით მთვარისამ უნდა გაგვიწიოს, მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უმჯობესდება და საუბარიც მალე მოგვიწევს.

— დანიშნეთ განმეორებითი ექსპერტიზა?

— ხვალ თბილისელ კოლეგებს ველოდებით... განმეორებითმა ექსპერტიზამ მთლიანად დაადასტურა ალექსის ვერსია.

სანამ ვოლინსკიდან დამატებით ცნობას მიიღებდნენ, იმ რაიონის ერთ-ერთ საფოსტო განყოფილებაში, სადაც მთვარისა ცხოვრობდა, ასეთი დეპეშა „მოკითხვამდე“ მოვიდა: კოსმოსი 8, მთვარე „ბარში კარგი ამინდია, ფისომ ავაზასავით აიყარა ტანი“. ბერეზოვოი.

რამდენიმე საათს უტრიალა ალექსიმ დეპეშას, ყოველნაირად ცდილობდა გაეშიფრა თვითოეული სიტყვის აზრი და დიდი წვალების შემდეგ ტექსტი მიახლოებით ასე ჩამოაყალიბა:

კოსმოსის ქ. № 8, მთვარისას
ბარში — ბავშვი,

კარგი ამინდია — კარგად არის,
ფისომ ავაზასავით — გოგონამ (ფლორამ),

ტანი აიყარა.

და რადგან დეპეშა ბრესტიდან იყო გამოგზავნილი პირობითად მიაწერა: ბერეზოვოი — ბრესტი.

გაგრძელება იქნება

დასაწყისი იხ. №№ 30-38.

ПО «ГОРЯЧИМ» СЛЕДАМ

# КОНЕЦ НОЧНЫХ ПОХОЖДЕНИЙ

**Поздней августовской ночью на Авчальском шоссе у кинотеатра «Сакартвело» три парня остановили такси. Ничего необычного в этом не было, поэтому не было и оснований для беспокойства у водителя шестого легкового таксомоторного предприятия М. Парии попросили подбросить их до переходного моста.**

**Улицы были уже пустынны, редкий автомобиль проносился навстречу. Свернули на улицу Закраздзе и тут таксист увидел направленное в его сторону дуло пистолета. Бандиты отобрали у водителя дневную выручку и личные деньги в сумме 100 рублей. Затем одни из них сел за руль. Доехали до улицы Стаханова. Здесь бандиты бросили машину и пытались скрыться, но сделать им это не удалось.**

**Быстро и решительно действовала опергруппа Ленинского РОВД г. Тбилиси в составе сотрудников уголовного розыска Р. Джамбазишвили, Т. Ошакмашвили, Г. Гзиришвили, возглавляемая начальником РОВД подполковником милиции Д. Ганидзе. Всего семь минут понадобилось им, чтобы задержать преступников. Вот они, «ночные грабители»: Руслан Хашнидзи, 28 лет, каменщик стройтреста № 4, Темури Пилиев, 19 лет, нигде не работал, Валерий Трущелев, 21 год, комсомолец, слесарь ювелирной фабрики. Все трое — ранее не судимые, стало быть вполне порядочные в глазах тех, с кем приходилось им общаться дома, на работе, на улице. Иначе как объяснить то, что с 18 по 26 августа им удалось совершить четыре разбойных нападения (почти через день) на водителей такси. Ведь ни в один же вечер у них возникло желание к подобным ночным похождениям.**

**Бандиты понесут заслуженную кару. В этом сомневаться не приходится. Сомнение в другом: смогут ли те, кто окружал эту «тройку», в следующий раз (лучше бы его, конечно, не было) увидеть, распознать того, кто оступился, кто катится вниз по наклонной, — увидеть, остановить и помочь?**

**В. МИРОШНИЧЕНКО.**

# БЫСТРО, УМЕЛО, ОПЕРАТИВНО

9 сентября с. г. по I-пер. ул. Физкультурной № 12 неустановленный преступник угнал автомашину «ВАЗ—2103» госномер 16-83 ГАР, принадлежащую гражданину Георгию Г.

Сотрудниками уголовного розыска Сабурталинского РОВД г. Тбилиси Г. Гватуа, Л. Лобиладзе, Г. Гудушаури и Н. Болоташвили по «горячим» следам был задержан Валерий Т., 1958 года рождения, электрик «Тбилгорсовета».

* * *

23 сентября с. г. в 23 часа 30 минут на ул. Мцхетской неустановленный преступник у гражданки Нино Б., вырвал из рук сумку и скрылся.

Оперативная группа Орджоникидзевского РОВД г. Тбилиси в составе Г. Долидзе, З. Хунджуа и Ю. Миканадзе., возглавляемая заместителем начальника РОВД подполковником милиции Г. Гаглоевым задержала «ночного» грабителя. Им оказался 28-летний Реваз И., приехавший в гости к своей сестре из Местийского района.

# ТОЛЬКО ФАКТЫ

Инспектором ОБХСС ОВД на станции Батуми капитаном милиции Т. Теблидзе выявлена и задержана продавец магазина Самтредского ОРСа на ст. Батуми Этери М., которая обсчитела покупателя на 20 рублей.

Сотрудниками отдела вневедомственной охраны при Руставском ГОВД совместно с ОБХСС был задержан Гусейн М., который с Руставского производственного объединения «Азот» похитил 2210 литров топлива стоимостью 663 рубля.

СПОРТ

# Победа одержана

**В г. Черновцах Украинской ССР завершилось лично-командное первенство МВД СССР по стрельбе из боевого оружия.**

**Сборная команда МВД Грузинской ССР заняла общекомандное пятое место. По стрельбе из автомата наша команда вышла на первое место. Отрадно отметить успех нашей сборной. Таких результатов команда не добивалась за последние 10 лет.**

**Из сборной команды МВД ГССР в состав сборной МВД СССР были отобраны лучшие из лучших. Среди них мастер спорта международного класса, милиционер Гагрского ГОВД В. Халецкий, мастера спорта капитан милиции Т. Лакия, лейтенант в/с З. Такашвили, капитан в/с Ю. Быков.**

**Они будут готовиться к международному турниру, который пройдет на Кубе в 1985 году.**

**В. МАРГИШВИЛИ,**

**старший тренер команды МВД ГССР, майор милиции.**

სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025 გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — ვ. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხომარაულის 29. УЭ 14564